



**მონიტორინგის ანგარიში № 01 - 2022**

<b>ორგანიზაციის დასახელება</b>	შპს „ბლექ სი შიპინგ რეგისტერი“
<b>აუდიტორები</b>	დავით ჯინჭარაძე, ირაკლი სირაბიძე, ნინო ასათიანი
<b>აუდიტის თარიღი</b>	11.03.2022
<b>მისამართი</b>	საქართველო, ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქუჩა №108
<b>აუდიტის ტიპი</b>	გეგმიური მონიტორინგი
<b>წინა აუდიტის თარიღი</b>	21.07.2021

**განმარტებები:**

**შეუსაბამობა** - სტანდარტის მოთხოვნების შეუსრულებლობა.

**შენიშვნა** - დარღვევა, რომელიც გამოწვეულია მექანიკური შეცდომით ან მოხდა ერთჯერადად და არ მოქმედებს საბოლოო შედეგზე.

**რეკომენდაცია** - რჩევა პოტენციური შეუსაბამობის და შენიშვნის თავიდან ასარიდებლად.

**შესავალი:**

მიმდინარე წლის 11 მარტს ჩატარდა ხელშეკრულების საფუძველზე გეგმიური მონიტორინგი აღიარებული ორგანიზაციის, მაგრამ მონიტორინგზე არ განხორციელდა ხარისხის სტანდარტის შემოწმება.

**შედეგები:**

**1. მცურავი საშუალებების პირადი საქმე.**

შემოწმებული იქნა აღიარებული ორგანიზაციის ზედამხედველობაში მყოფი მცურავი საშუალებების მონაცემთა ბაზა. ორგანიზაციას სულ რეგისტრირებული ჰყავს 17 მცურავი საშუალება, 16 თევზსაჭერი გემი, ხოლო 1 სასეირნო დანიშნულების სამგზავრო გემი. მცურავი საშუალებების პირადის საქმეები სრულყოფილია და მოწესრიგებულია. გააჩნიათ შესაბამისი ჩანაწერები და შემოწმების დოკუმენტები, თავისი მტკიცებულებებით.

**შენიშვნები არ გაგვაჩნია. ფასდება: დადებითად**

**2. ცირკულარი და ნორმატიული აქტები.**

შემოწმებული იქნა სააგენტოს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების და ცირკულარების გაცნობიერების პროცედურა. ორგანიზაციაში დანერგილი აქვთ შესაბამისი პროცედურა



დოკუმენტების გაცნობასთან დაკავშირებით, კერძოდ ფორმა F002, სააგენტოსგან ბოლოს მიღებული ცირკულარი გაცნობიერებული არის ორგანიზაციის ყველა თანამშრომელ/სურვერის მიერ, რაც დასტურდება შესაბამის ფორმაზე ხელმოწერით.

**შენიშვნები არ გაგვაჩნია. ფასდება: დადებითად**

### **3. შემომომწმებელი/სურვერი**

შემოწმებული იქნა გემის კორპუსის სურვერის პირადი საქმე (ოლეგ უპენიკი), აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი განათლება და მუშაობის მრავალ წლიანი გამოცდილება, მაგრამ არ აქვს გავლილი შესაბამისი ტრენინგი. საერთაშორისო კონვენციებში ხშირად ხორციელდება სხვადასხვა სახის ცვლილებები, მათ შორის გემის კორპუსებთან დაკავშირებით, ასევე IACS წევრი ორგანიზაციების წესებში ხორციელდება მუდმივად გემის კორპუსის მოთხოვნების განახლება და ახალი სტანდარტების შემუშავება. გემის კორპუსის სურვერი უნდა ეცნობოდეს ახალ მოთხოვნებს და გაიზიაროს სხვადასხვა გამოცდილებები. ამიტომ საჭიროა გაიაროს შესაბამისი ტრენინგი.

**ფიქსირდება შენიშვნა.**

### **4. შემაჯამებელი ანგარიში.**

აღიარებულ ორგანიზაციას არ წარმოუდგენიათ 2021 წლის შემაჯამებელი ანგარიში, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა გემებზე ჩატარებული შემოწმებების რაოდენობა, შენიშვნები, შეუსაბამობები და რეკომენდაციები, ანგარიში უნდა იძლეოდეს სრულყოფილ ინფორმაციას ჩატარებული სამუშაოებთან დაკავშირებით, ასევე ის უნდა იყოს საჯარო და გამოქვეყნებული ორგანიზაციის ვებ-გვერდზე.

**ფიქსირდება შენიშვნა.**

### **5. აღიარებული ორგანიზაციის ვებ-გვერდი.**

საქართველოს საზღვაო კოდექსის მუხლი 4413 , მე-3 პუნქტის შესაბამისად აღიარებული ორგანიზაცია ვალდებულია გააჩნდეს საკუთარ ოფიციალურ ვებ-გვერდი, სადაც უნდა განათავსოს ინფორმაცია გემებისთვის კლასის მინიჭების, გადაცემის, შეცვლის, შეჩერების, გაუქმების შესახებ, გეგმური შემოწმების, რეკომენდაციების, გემისთვის გაცემული კლასის პირობებისა და საქართველოს სახელმწიფო დროშით მცურავი, კლასისთვის მიკუთვნებული გემების ექსპლუატაციის პირობები და ექსპლუატაციის შეზღუდვების შესახებ. აღიარებულ ორგანიზაციის ვებ-გვერდიზე ნაწილობრივ სრულყოფილად არის განთავსებული შესაბამისი ინფორმაციები.

**ეძლევა რეკომენდაცია. ვებ-გვერდმა იმუშავოს გამართულად და ხელმისაწვდომი იყოს შესაბამისი დოკუმენტები.**



**დასკვნა:**

2022 წლის მონიტორინგმა დაადასტურა რომ აღიარებული ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს და იხვეწება მათი საქმიანობა, ასევე საქმიანობასთან დაკავშირებული შენიშვნა აღმოფხვრილია სრულყოფილად, ასევე ითვალისწინებენ სააგენტოს რეკომენდაციებს და სხვა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია რომ აღიარებულ ორგანიზაციას შეუძლია განახორციელოს საზღვაო კოდექსიდან გამომდინარე შიდა ნაოსნობაში ჩართული გემების ტექნიკური ზედამხედველობა.

მონიტორინგის ჯგუფის წევრების (ხელმოწერები):

დავით ჯინჭარაძე

ხელმოწერილია

ირაკლი სირაბიძე

ხელმოწერილია

ნინო ასათიანი

ხელმოწერილია

ანგარიშის ჩაბარების თარიღი: №04/667 – 05.04.2022